მოწვევა ტრეინინგში მონაწილეობის მისაღებად

თბილისი, 10 აპრილი, 2009

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის მხარეებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ტრეინინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრეინინგი მიეძღვნება გლობალურ და საქართველოსთვის სპეციფიურ გარემოსდაცვით საკითხებს - არსებულ და ახლადაღმოცენებულ პრობლემებს, ტენდენციებს და პოტენციურ გარემოსდაცვით საფრთხეებს. ტრეინინგი გამიზნულია არამარტო გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისათვის, არამედ სხვა (მაგალითად, ეკონომიკურ, სციალურ, ადამიანის უფლებათა დაცვის) საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისთვისაც, რომელთათვის ტრეინინგის შედეგად მიღებული ცოდნა სასარგებლო იქნება მათი საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის.

ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება რთული ამოცანაა და მოითხოვს ისეთ ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიცაა გარემოს ზემოქმედება ჯანმრთელობაზე, ბუნებრივ ღირებულებებსა და სოციალურ ფუნქციაზე. გარემოს დაბინძურების წყაროები მრავალრიცხოვანი და განსხვავებულია, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ტრასპორტი, მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, შინამეურნეობა, რეკრეაცია და სხვა. ხშირად, გარემოს დაბინძურებისა და დეგრადაციის უარყოფითი შედეგები მხოლოდ წლების შემდეგ ვლინდება ისეთ მოვლენებში, როგორიცაა მცენარეთა და ცხოველთა სახეობების გადაშენება, ან მთლიანი ეკოსისტემის განადგურება. დაბინძურებას ხშირად აქვს არამარტო ადგილობრივი, არამედ რეგიონული, ეროვნული და გლობალური ეფექტიც კი, როგორიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება.

გარემოსდაცვითი პრობლემები სულ უფრო რთულ ხასიათს იღებს და მათი გამომწვევი მიზეზების გაცნობიერებისა და ახალი გადაწყვეტილებების მოძიებისათვის, მნიშვნელოვანია პრობლების შესახებ სისტემური ხედვის არსებობა, რომელიც გარემოსა და მის ყველა ელემენტს, მასში მცხოვრები მოსახლეობის ჩათვლით, განიხილავს როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ნაწილების რთულ ერთობლიობას.

მწვანე ალტერნატივას მიერ დაგეგმილი ტრეინინგი პირობითად ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მიეძღვანება ისეთ გლობალურ გარემოსდაცვით საკითხებს როგორიცაა:

- მიწის რესურსების დაცვა
- ნარჩენების მართვა
- ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დაცვა;
- ბიოლოგიური და გენეტიკური რესურსების კონსერვაცია;
- არაგანახლებადი რესურსების ათვისება

ტრეინინგის მეორე ნაწილი მიეძღვნება საქართველოში გარემოს მდგომარეობას და აქტუალურ გარემოსდაცვით პრობლემებს შემდეგ სფეროებში:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება;
- ნარჩენები, ქიმიკატები და დაბინძურებული ტერიტორიები;
- წყლის მართვა;
- ბიომრავალფეროვნება და ტყის მართვა;
- წიაღისეულის მოპოვება, მრეწველობა და გარემო;
- ენერგეტიკა და გარემოს დაცვა;
- სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და გარემო
- ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხო გარემო

ტრეინინგის ამ ნაწილში ასევე განხილული იქნება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე კონკრეტული შემთხვევები (პროექტები, პროგრამები).

ტრეინინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ თანდართული სააპლიკაციო ფორმა და გადმოგვიგზავნონ არაუგვიანეს 2009 წლის 8 მაისისა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: greenalt@greenalt.org, ან წარმოადგინონ ორგანიზაციის ოფისში, მისამართზე: თბილისი, ყიფშიძის ქ. 5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული. მონაწილეთა შერჩევა დასრულდება 2009 წლის 12 მაისს. შერჩევის შედეგები ეცნობება ტრეინინგში მონაწილეობის ყველა მსურველს 2009 წლის 15 მაისამდე.

ტრეინინგის ხანგრძლივობა იქნება ოთხი დღე და ჩატარდება დაბა ბაკურიანში. მონაწილთა მგზავრობის, სასტუმროში ცხოვრებისა და კვების ხარჯებს სრულად დაფარავს ასოციაცია მწვანე ალტერნატივა.

ტრეინინგი ტარდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას პროექტის „საქართველოს ქსელის ჩამოყალიბება გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისათვის“ ფარგლებში.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ქ. 5ა, IV სადარბაზო, VII სართული
ტელეფონი: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ.-ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org